ღამურა
(ზღაპარი)

ერთმა უგნურმა თაგუნამ
იუკადრისა თანვობა,
დასწყევლა თვისი გაჩენა,
ბუნების იწყო მან გმობა:

ნიმ უსამართლო ბუნებამ
თაგვად რად გამაჩინაო?
მე სხვაგან ყოფნა მინდოდა,
მან ჭერ-ქვეშ მომცა ბინაო!

ნვის ეკადრება თაგვებთან
კუდის ბზეკა და ლხენაო?
მე შემშვენოდა ჩიტობა,
რომ მჰწყო აღმა ფრენაო.

ნრომ ვინმე ჩიტად მაქცევდეს,
გამომაბამდეს ფრთებსაო,
გავფრინდებოდი, ერთს წამსა
გადავივლიდი მთებსაო!ნ

რომ დაასრულა ეს ნატვრა,
ნახა, რომ ფრთები ესხმება
და მეტის სიხარულითა
საბარალოს თავბრუ ესხმება...

ზიზღით შეხედა თვის ტოლებს,
დაუყონებლივ ავარდა,
ჩიტებში გამერია,
იმანაც გაინავარდა...

ჩიტებმა ახედ-დახედეს,
სთფქვეს: ნვინ მოსულა ესაო?
რა სჯულის ცხოველი არის?
ჩვენთან ვინ გააწესაო?

ნთვალ-ტანადობა თაგვს უგავს,
ფრთები ასხია ჩვენიო!
როგორღაც კეთილ სულს არ ჰგავს...
ჭირი არის და სენიო!

ნეგებ მტრებმა მოგზავნეს,
შემოჩენილი იყოსო!

არიქა, ფრთხილად იყავით,
არავინ გაგვაბრიყვოსო!...ნ

დაჟღივლეს, ჩაუნისკარტეს,
გაჰკრეს-გამოჰკრეს ბრჭყალები,
სისხლი ადინეს ღამურას,
გამუბნელეს თვალები!

დაღმა დაეშვა ღამურა,
მიმართა ისევ ძველ სადგურს...
მაგრამ იქ უფრო შავი დღე
დაუდგა მაშინ უბედურს:

თაგვებმა აითვალწუნეს,
აღარ მიიღეს, რომ ნჭხეს,
მივარდნენ ერთად საკბენად,
ნჰკა მაგასაო!ნ დასძახეს...

მაშინ კი მიხვდა ღამურა,
რომ ანგარიში წაუხდა
და მისი ნატვრა უგნური
საჭირბოროტოდ აუხდა!

გვიანღა იყო! გაფრინდა
გაკიცხულ, თავლაფდასხმული,
ერთ ძველ ნანგრევში შეფრინდა
და მოიბრუნა იქ გული.

მაშ შემდეგ ნანგრევში ბუდობს,
დღე-დღე ვრე ჩნდება სირცხვილით
და მუდამ ამას წრიპინობს
კვნესით და გულის ტკივილით:

ნკრულ იყოს მისი სახელი,
ვინც მთა გასცვალოს ბარზედა!
თვის ტომის დამწუნებელსა
ჭირი მიუვა კარზედა!

ნნურავინ ისხამს სხვის ქურქსა
და ნუ სცვლის თვისსა ენასა,
თორემ ბოლო დროს მოიმკის
ჩემსავით ცრემლსა დენასა!

ნგადაგვარების მოსურნე
ბუნებისაგან კრულია!
მისი პირადი ღირსება

ყოველგან დაჩაგრულია!

ნძველ ტომში გამოსხლეტილსა
არ მოუშლიან კბენასა
და ახალ ტომშიც გაჰკიცხვენ:
დაუწუნებენ ფრენასა!

ნკრულია მისი ხსენება,
ვინც დაჰგმობს დედა-ენასა,
თვის ტომს ჰღალატობს და მითი
თვით ჰფიქრობს მაღლა ფრენასა!ნ...

1880 წ.